შეთანხმება № 20/02-407/528ც
„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიწოდების შესახებ“ 2020 წლის 26 აგვისტოს № 20/02-407 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი **19 ნოემბერი, 2020 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **თამარ ჩუბინიძის** სახით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ციფრული მმართველობის სააგენტო** (შემდგომში - ციფრული მმართველობის სააგენტო), წარმოდგენილი ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის, **გიორგი მეჟლუმიანის** სახით, **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის, **მიხეილ ჯანიაშვილის** სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სოციალური მომსახურების სააგენტო** (შემდგომში - მომსახურების სააგენტო), წარმოდგენილი მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **გიორგი წოწკოლაურის** სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი,

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიწოდების შესახებ“ 2020 წლის 26 აგვისტოს № 20/02-407 ხელშეკრულების 13.2 პუნქტის საფუძველზე, წინამდებარე შეთანხმებით თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

შეთანხმების საგანია მხარეთა შორის 2020 წლის 26 აგვისტოს დადებულ №20/02-407 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა.

მუხლი 2. ცვლილება ხელშეკრულებაში

2.1 ხელშეკრულების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **ლელა სირაძის** სახით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ციფრული მმართველობის სააგენტო** (შემდგომში - ციფრული მმართველობის სააგენტო), წარმოდგენილი ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, **ნიკოლოზ გაგნიძის** სახით, **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის, **მიხეილ ჯანიაშვილის** სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სოციალური მომსახურების სააგენტო** (შემდგომში - მომსახურების სააგენტო), წარმოდგენილი მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **გიორგი წოწკოლაურის** სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი,

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის მე–3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ციფრული მმართველობის სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების

მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების 1^1 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის №2 დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-6 პუნქტის, მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, №3 დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, 3^1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 3^4 პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის, „ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო მომსახურების სააგენტოში არსებული მონაცემებით სარგებლობის, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი დევნისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნით აღნიშნული მონაცემების გაცემისა და გაცვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 06 აგვისტოს №416 დადგენილების მე-5 მუხლის საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:“.

2.2 ხელშეკრულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. მომსახურების სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდების მიზანი

სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდების მიზანს წარმოადგენს:

2.1 18 (თვრამეტი) წლამდე ბავშვთა ერთჯერადი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის მიზნით, ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირებული მონაცემების შედარება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზასთან.

2.2 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დასაფინანსებლად სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის მიზნით, მშობელსა და შვილს შორის ნათესაური კავშირის დადგენა.

2.3 ხელშეკრულების 5.1-5.3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.1. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული მიზნისათვის მომსახურების სააგენტოს მიერ ინფორმაციის გამოთხოვა და მისთვის პასუხის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების №1 დანართით გათვალისწინებული წესით, ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნისთვის - ხელშეკრულების №3 დანართით გათვალისწინებული მიზნით.

5.2. მხარეთა შორის ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცვლისას, მომსახურების სააგენტო მის მიერ შესრულებულ მოთხოვნას ხელს აწერს სააგენტოს მიერ მომსახურების სააგენტოს სახელზე გაცემული აქტიური ელექტრონული სერთიფიკატის მეშვეობით, ხოლო სააგენტო მომსახურების სააგენტოს მოთხოვნაზე პასუხს უბრუნებს სააგენტოს მიერ სააგენტოს სახელზე გაცემული აქტიური ელექტრონული სერთიფიკატით ხელმოწერილი სახით. ინფორმაციის გაცვლის დროს შეკითხვისა და პასუხის ინფორმაციულ ობიექტებში ხელმოსაწერი ქვეობიექტები განისაზღვრება ხელშეკრულების №1 და №3 დანართებით.

5.3. მხარეთა შორის ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება დაშიფრული სახით. ინფორმაციის გაცვლის დროს შეკითხვისა და პასუხის ინფორმაციულ ობიექტებში დასაშიფრი ქვეობიექტები განისაზღვრება ხელშეკრულების №1 და №3 დანართებით.“.

2.4 ხელშეკრულების 13.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2020 წლის 15 აგვისტოდან და ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.“

2.5 ხელშეკრულების მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები

16.1 სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ – მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2, ს/კოდი 202307404.

16.2 სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“ – მის.: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის 22; ს/კოდი 204598337.

16.3 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - მის.: თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 211333957

16.4 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ - მის.: თბილისი, 0119, წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 202178927.“.

2.6 ხელშეკრულებას დაემატოს დანართი №3 შემდეგი რედაქციით:

„დანართი №3

პერსონალური მონაცემების მიღების მეთოდი

1. მეთოდის მახასიათებლები

1.1. მეთოდის უნიკალური იდენტიფიკატორი (SubcontractId): **SSAParentInfo2**

1.2. მოთხოვნის ობიექტში ხელმოსაწერი ქვეობიექტი: **Request**

1.3. მოთხოვნის ობიექტში დასაშიფრი ქვეობიექტი: **Parameters**

1.4. პასუხის ობიექტში ხელმოსაწერი ქვეობიექტი: **Response**

1.5. პასუხის ობიექტში დასაშიფრი ქვეობიექტი: **Parenthood**

1.6. მოთხოვნის რეკვიზიტების შესაძლო კომბინაცია:

ა) მშობლის პირადი ნომერი (ParentPrivateNumber) და შვილის პირადი ნომერი (ChildPrivateNumber);

2. მეთოდით მიღებული ინფორმაცია

მოთხოვნის ობიექტის პარამეტრების შესაბამისად, ამავე დანართის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული, სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებული ფიზიკური პირის (ChildPrivateNumber) დაბადების აქტის შესაბამისად ამავე დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ გადმოცემულ მონაცემებს შორის მშობელობისა და შვილობის შესახებ ინფორმაცია.

3. მოთხოვნის ობიექტის XML სტრუქტურა და პარამეტრების მნიშვნელობა

```
<Request xmlns="http://www.w3.org/2009/xmldsig11#" Id="ორგანიზაციის უნიკალური იდენტიფიკატორი ">
    <SubcontractId>მეთოდის უნიკალური იდენტიფიკატორი</SubcontractId>
    <RequestReason> ინფორმაციის გამოთხოვის მიზნობრიობა (არასავალდებულო) </RequestReason>
    <Parameters>
        <Parenthood>
            <ParentPrivateNumber>მშობლის პირადი ნომერი</ParentPrivateNumber>
            <ChildPrivateNumber> შვილის პირადი ნომერი<ChildPrivateNumber>
        </Parenthood>
    </Parameters>
    <Signature> ... ორგანიზაციის მიერ ელ. სერტიფიკატით განხორციელებული ხელმოწერა </Signature>
</Request>
```

4. პასუხის ობიექტის XML სტრუქტურა და პარამეტრების მნიშვნელობა

```
<Response xmlns="http://www.w3.org/2009/xmldsig11#" Id=" სააგენტოს უნიკალური იდენტიფიკატორი" TimeStamp="
                    პასუხის დაბრუნების დრო" ReferenceId=" ორგანიზაციის უნიკალური იდენტიფიკატორი">
    <ResultStatus> <!-- სერვისით დაბრუნებული პასუხის სტატუსი-->
        <Code> პასუხის სტატუსის კოდი </Code>
        <Message> პასუხის სტატუსის აღწერილობა </Message>
    </ResultStatus>
    <Parenthood> <!-- არიან თუ არა მშობელი და შვილი ერთმანეთის-->
        <Result> არიან თუ არა ერთმანეთის შვილი და მშობელი (კი, არა)</Result>
        <ResultId> არიან თუ არა ერთმანეთის შვილი და მშობელი (კი, არა) (1 - კი; 0 - არა) <ResultId>
        <Id> აქტის იდენტიფიკატორი </Id>
    </Parenthood>
    <Signature> სააგენტოს მიერ ელ. სერტიფიკატით განხორციელებული ხელმოწერის ქვეობიექტი </Signature>
</Response>“.
```

მუხლი 3. დამატებითი პირობები

3.1 შეთანხმება ძალაშია 2020 წლის 19 ნოემბრიდან.

3.2 ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნისთვის მომსახურების სააგენტოს ხელშეკრულების №3 დანართით გათვალისწინებული ინფორმაცია მიეწოდება 22 სექტემბრიდან.

3.3 შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

3.4 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

მუხლი 4. მხარეთა რეკვიზიტები

4.1 სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ – მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს №2, ს/კოდი 202307404.

4.2 სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“ – მის.: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის 22; ს/კოდი 204598337.

4.3 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - მის.: თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 211333957.

4.4 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ - მის.: თბილისი, 0119, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 202178927.

Digitally signed by Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia
Date: 2020.11.19 15:32:19 +04'00'

LEPL SOCIAL SERVICE AGENCY
Digitally signed by LEPL SOCIAL SERVICE AGENCY
Date: 2020.11.20 11:55:36 +04'00'

თამარ ჩუბინიძე	გიორგი მეჟლუმიანი	მიხეილ ჯანიაშვილი	გიორგი წოწკოლაური